დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი

თავი I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - ,,მოდულური პროგრამა“) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) სატიტულე ფურცელი;

ბ) ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება რომლის საფუძველზეც იქმნება პროგრამა;

გ) ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი;

დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;

ვ) დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;

ზ) კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები;

თ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულები;

ი) მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები;

კ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესაძლებლობები:

კ.ა) ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - სასწავლო გეგმა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე (პროფესიული ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის);

კ.ბ) ოპტიმიზირებული პროგრამის ადაპტირების დროს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეიმუშაოს ისეთი პროფესიული მოდულური პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ერთი პროფესიული სპეციალიზაცია/მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

ლ) სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წესი;

მ) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების წესი;

ნ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ო) ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადები;

პ) საავტორო უფლებები.

2. შემუშავებული მოდულური პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-სა.
3. ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული მოდულური პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.
4. მოდულური პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
5. მოდულურ პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:
ა) ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი (არსებობის შემთხვევაში) ადაპტირებული მოდულები;
ბ) ქართული ენის მოდულები;
გ) სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის);
დ) სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
ე) მემორანდუმი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფილის საწარმო-დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან;
ვ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.
6. მოდულური პროგრამა უნდა შეიქმნას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების საფუძველზე.
7. მოდულური პროგრამის შინაარსში უნდა მიეთითოს დაშვების წინაპირობები. მოდულურ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეიძლება იყოს საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლება, ასევე პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

მუხლი 2. სწავლის შედეგი

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტით.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმავითარებელი შეფასება არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაში.
4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულებში.
6. შეფასების შედეგები ფორმდება შეფასების უწყისით.

მუხლი 4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის კოდი და სახელწოდება;

ბ) მოდულების კრედიტები;

გ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;

დ) მოდულზე დაშვების წინაპირობა;

ე) მოდულის სტატუსი;

ვ) მოდულების საკონტაქტო, დამოუკიდებელი საათები და მოდულის კვირეული დატვირთვა.

მუხლი 5. ადამიანური რესურსი

1. მოდულური პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით - ადამიანური რესურსით.
2. მოდულურ პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილებით.

მუხლი 6. პროგრამის ხელმძღვანელი

1. მოდულურ პროგრამას შესაძლებელია ჰყავდეს ერთი ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი ან მის ფარგლებს გარედან მოწვეული სპეციალისტი რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია.
2. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობით შექმნასა და მოდიფიკაციაზე.
3. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები და ევალება მათზე რეაგირება კომპეტენციის ფარგლებში პროგრამის სრულყოფის მიზნით.
4. პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ წარმოადგენს ანგარიშს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის

ხელმძღვანელთან სადაც უნდა იყოს ასახული პროგრამის განვითარების რეკომენდაციები.

მუხლი 7. მოდულური პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

მოდულურ პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

მუხლი 8. პარტნიორი დაწესებულებები და ერთობლივი პროგრამები

1. მოდულური პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

2. ერთობლივი პროგრამა წარმოადგენს ერთ ან მეტ პარტნიორ დაწესებულებასთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებულ პროგრამას, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) კურიკულუმი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და ყველა პარტნიორი დაწესებულების სია;

ბ) პროფესიულ სტუდენტს ენიჭება კრედიტი პარტნიორ დაწესებულებაში განხორციელებული აქტივობის შედეგად (სასწავლო კურსის/მოდულის, პრაქტიკის გავლა და ა.შ.).

3. ერთობლივი პროგრამის განხორციელებისას რეკომენდებულია:

ა) პროფესიულ სტუდენტმა ისწავლოს/გაიაროს პრაქტიკა პარტნიორ დაწესებულებაში;

ბ) ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის პერსონალს ასწავლოს/უხელმძღვანელოს პრაქტიკას პარტნიორ დაწესებულებაში;

გ) ხელი შეეწყოს პარტნიორი დაწესებულების პერსონალს ასწავლოს/უხელმძღვანელოს პრაქტიკას უნივერსიტეტში.

4. საერთაშორისო ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს ერთობლივი პროგრამა, რომლის ერთი პარტნიორი მაინც არის უცხოეთის დაწესებულება.

5. თსუ–ის რექტორის მიერ ერთობლივი პროგრამის დამტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენს თანხმობის წერილი ყოველი პარტნიორი დაწესებულებიდან (პარტნიორების სრული სია და თითოეულ მათგანთან დადებული ხელშეკრულება).

მუხლი 9. მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანა

მოდულურ პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება, შეფასება და განვითარება

მუხლი 10. პროგრამის შემუშავება

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს თსუ-ს პროფესიული

განათლების ცენტრის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კორდინირებული მუშაობით. სამუშაო ჯგუფში უნდა შედიოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტები.

2. მოდულური პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი სანდო წყაროების საშუალებით იძიებს სტატისტიკურ მონაცემებს, დასაქმების მაჩვენებლებისა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების შესახებ.

3. შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და წარუდგენს თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

4. სამუშაო ჯგუფის მუშაობა და შედეგები აისახება ოქმში.

5. თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი წინამდებარე რეგულაციების დაცვით პროგრამის შეჯერებულ ვარიანტს განსახილველად გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 11. პროგრამის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან და ამზადებს წერილობით დასკვნას.

მუხლი 12. პროგრამის დამტკიცება

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება რექტორის მიერ, თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი13. მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება (№70/2020, 21.07.2020)

1. მოდულური პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასება საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად, გასაუმჯობესებლად.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესი ითვალისწინებს:

ა) დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევას, რომელიც ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში და მისი დასრულების შემდეგ;

ბ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წელიწადში ერთხელ;

გ) პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვას ყოველი მოდულის დასრულებისას;

დ) საუკეთესო ადგილობრივი ან/და საერთაშორისო პრაქტიკის, დარგში არსებული უახლესი კვლევების შედეგების გაცნობას.

3. თსუ უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

მუხლი 14. მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

1. მოდულური პროგრამის განვითარება და შემდგომი ცვლილებების ინიცირება უნდა მოხდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და პროცედურების შესაბამისად. მოდულურ პროგრამაში არსებითი ცვლილების შეტანის საფუძველი ასევე შესაძლებელია იყოს პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარების მიზნებს.

2. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება მოდულურ პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ეცნობება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.